კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.ncdc.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 06 ოქტომბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge




საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

www.ncdc.ge

## გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
27,27%
65,00%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
16,67%
60,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
27,50%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
17,86%
44,60%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
22,73%
24,00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
12,50%
53,83%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
20,00%
19,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:**

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

**1.** ვებ-გვერდზე არ არის მოცემული  არანაირი ინფორმაცია ცენტრის ხელმძღვანელობის შესახებ, კერძოდ:

- არ მოიძიება ცენტრის გენერალური დირექტორის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მისი არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომერი;

- არ მოიძიება ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილეების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და კომპეტენციისა აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მოადგილეების არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

მართალია ვებ-გვერდზე არსებობს ქვე-განყოფილებები სათაურად „ცენტრის დირექტორი“ და „დირექტორის მოადგილეები“, თუმცა აღნიშნული ქვე-განყოფილებები იუწყებიან, რომ მიმდინარეობს გვერდის რეკონსტრუქცია:




**2.** ცენტრის სრული დასახელება არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“, ხოლო,  ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება:




**3.** არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და ცენტრის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

**4.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ერთეულების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება ცენტრის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

**5.** ვებ-გვერდზე მოცემულია ცენტრის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია აქვე მითითებულიც იყოს რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:




**6.** არ მოიძიება ცენტრის ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასახელება:

**7.** ვებ-გვერდზე არ არის მოცემული ცენტრის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია. მართალია არსებობს ქვე-განყოფილება სათაურად „ცენტრის ისტორია“, თუმცა აღნიშნული გვერდი იუწყება, რომ მიმდინარეობს გვერდის რეკონსტრუქცია;

**8.** ვებ-გვერდზე არ არის მოცემული ცენტრის მიზნების, ფუნქციებისა და უფლებამოსილებების აღწერა.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

**9.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი;
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;
- სრული სახით არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ცენტრის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ მოიძიება მხოლოდ შემდეგი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ელექტრონული ფოსტის მისამართები:

**დკეც-ის თანამშრომელთა ელ-ფოსტის მისამართები**

ncdc@ncdc.ge – საერთო მისამართი

ekatsertsvadze@gmail.com – ე.ცერცვაძე (სასწავლო ცენტრი)

threatred@ncdc.ge – ბიოუსაფრთხოება

immun@ncdc.ge – იმუნიზაციის განყოფილება

episurv@ncdc.ge – ხ.ზახაშვილი (მართვადი ინფექციები)

prevent@ncdc.ge – ჯანმრთელობის ხელშეწყობა და ქრონიკული დაავადებათა ეპიდემიოლოგია

malaria@ncdc.ge – მალარიის განყოფილება

inftech@ncdc.ge – მ.მირცხულავა (კომპიუტერული უზრუნველყოფა)

GQachlishvili@ncdc.ge – გ.ქაჩლიშვილი (ვაქცინების საწყობი)

- არ მოძიება სტრუქტურული ერთეულების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, ხოლო სრული სახით არ მოიძიება მათი ელექტრონული ფოსტის მისამართები.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ცენტრის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ მოიძიება მხოლოდ შემდეგი სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები:

**დკეც-ის თანამშრომელთა ელ-ფოსტის მისამართები**

ncdc@ncdc.ge – საერთო მისამართი

ekatsertsvadze@gmail.com – ე.ცერცვაძე (სასწავლო ცენტრი)

threatred@ncdc.ge – ბიოუსაფრთხოება

immun@ncdc.ge – იმუნიზაციის განყოფილება

episurv@ncdc.ge – ნ.ზახაშვილი (მართვადი ინფექციები)

prevent@ncdc.ge – ჯანმრთელობის ხელშეწყობა და ქრონიკული დაავადებათა ეპიდემიოლოგია

malaria@ncdc.ge – მალარიის განყოფილება

inftech@ncdc.ge – მ.მირცხულავა (კომპიუტერული უზრუნველყოფა)

GQachlishvili@ncdc.ge – გ.ქაჩლიშვილი (ვაქცინების საწყობი)

**10.** სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ ცენტრს გააჩნია შემდეგი ტერიტორიული ერთეულები (ფილიალები): იმერეთის ზონალური ჯგუფი, აჭარის ზონალური ჯგუფი, რეგიონალური ლაბორატორიული უზრუნველყოფის ჯგუფი. ხოლო, ვებ-გვერდზე არ არის მოცემული ცენტრის ტერიტორიული ერთეულების შესახებ არანაირი სახის სახის ინფორმაცია. კერძოდ, არ მოიძიება:

- ტერიტორიული ერთეულების ჩამონათვალი;

- ტერიტორიული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა;

- ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

- ტერიტორიული ორგანოების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები;

- ტერიტორიული ორგანოების ელექტრონული ფოსტის მისამართები, საკონტაქტო ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

**11.** ცენტრის ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს ტენდერების შესაბამისი ქვე-განყოფილება), ცენტრის მიერ საქართველოსა და უცხოელ ფიზიკურ და/ან იურიდიულ პირებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ცენტრის საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები, პროგრამები, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში განხორციელებული სახელმწიფო პროგრამები, გეგმები, პროგნოზები, აგრეთვე, ცენტრის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ცენტრის ყოველწლიური გეგმები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

ამასთან, შემდეგი ქვე-განყოფილებები იუწყებიან, რომ მიმდინარეობს გვერდის რეკონსტრუქცია:

- განყოფილებაში „ჩვენს შესახებ „არსებულ ქვე-განყოფილებაში „ცენტრის შესახებ“ – „ცენტრის ისტორია“:




**მიმდინარეობს გვერდის რეკონსტრუქცია**

- განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ცენტრის შესახებ“ – „ცენტრის ფილიალები“:




**მიმდინარეობს გვერდის რეკონსტრუქცია**

- განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ცენტრის შესახებ“ – „ჩვენი პარტნიორები“:



- განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებული ქვე-განყოფილება „ცენტრის დირექტორი“:




- განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებული ქვე-განყოფილება „ცენტრის მოადგილეები“:




- განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „რეგულირება“ – „ჰიგიენური ნორმები“:




- არსებულ განყოფილებაში „მეცნიერება“ არსებული ქვე-განყოფილება „სტატიები“:



- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

**12.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება თითქმის არანაირი სიახლეების ტიპის სახის ცნობები ცენტრის საქმიანობის შესახებ. კერძოდ, არ მოიძიება ცენტრის გენერალური დირექტორისა და მისი მოადგილეების გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მათი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში:



როგორ უნდა დავიცვათ თავი გველის დაკბენისგან

---

3 მაისი – ასთმის მსოფლიო დღე

23-30 აპრილი – ევროპის იმუნიზაციის კვირეული

---

**2011 წლის 7 აპრილი ჯანმრთელობის მსოფლიო დღეა**

2011 წლის 7 აპრილს ცენტრში ჩატარდა პრესკონფერენცია ჯანმრთელობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით.

ყოველი წლის 7 აპრილს მთელი მსოფლიო აღნიშნავს ჯანმრთელობის მსოფლიო დღეს. წელს ეს დღე ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის პრობლემას ეძღვნება.

2011 წელს ჯანმრთელობის მსოფლიო დღის დევიზია: **ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა: არ ვიმოქმედებთ დღეს, ვერ ვუმკურნალებთ ხვალ!**

---

**24 მარტი – ტუბერკულოზთან ბრძოლის მსოფლიო დღე**

2011 წლის ტუბერკულოზთან ბრძოლის მსოფლიო დღე ორწლიანი კამპანიის გაგრძელებაა, რომელის მიზანია სიახლე შეიტანოს ტუბერკულოზის გამოვლენასა და მკურნალობაში. წელს კამპანია ტუბერკულოზთან ბრძოლის ახალ ხედვას წარმოგვიჩენს, რაც თავის მხრივ გაადვილებს ტუბერკულოზის აღმოფხვრას. ტუბერკულოზთან ბრძოლის მსოფლიო დღის სლოგანია: **"მოძრაობა ტუბერკულოზის წინააღმდეგ – ქმედებების ტრანსფორმაცია ტუბერკულოზის აღმოსაფხვრელად"**. >>ვრცლად

---

**4 თებერვალი – კიბოს მსოფლიო დღე**

კიბოს სიკვდილის მიზეზების მიხედვით, წამყვანი ადგილი უკავია მსოფლიოში. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით ავთვისებიანი სიმსივნით 2005 წლიდან 2015 წლამდე, სათანადო პრევენციული ჩარევის გარეშე 84 მილიონი ადამიანი დაიღუპება. 2011 წელს კიბოს მსოფლიო დღის თემაა: **"კიბოს კონტროლი: ცოდნით ქმედებისკენ"** – "Cancer control: knowledge into action". >>ვრცლად

ამასთან, ვებ-გვერდზე არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება სათაურად „სიახლეები“, სადაც განთავსდებოდა ზემოაღნიშნული ინფორმაცია.

**13.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „წლიური ანგარიშები“ , სადაც განთავსდებოდა ცენტრის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები.

**14.** ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი. აგრეთვე, სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი. *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც*

*ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/5_shssakademia_programebi.pdf).*

**15.** სასურველია ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში „პროექტები" განთავსდეს აგრეთვე, პროექტების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, აგრეთვე, ცნობები პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ:




**1.** "საქართველოში ბრუცელოზის კლინიკური, ეპიდემიოლოგიური და ლაბორატორიული შეფასება".

**2.**"საქართველოში არსებული ჯილეხით დაავადებული პაციენტების დიაგნოსტიკური და იმუნოლოგიური კვლევა".

**3.**"საქართველოში ჯილეხის ინფექციაგადატანილ ადამიანებში ჯილეხის შორეული იმუნური პასუხის კვლევა".

**4.** `მწვავე ცხელებით მიმდინარე დაავადებების გამომწვევი ინფექციური მიზეზების დახასიათება საქართველოში~.

**5.** `ეპიდზედამხედველობა და რეაგირება ფრინველისა და პანდემიურ გრიპზე აშშ-ს ფარგლებს გარეთ ჯანმრთელობის ეროვნული ორგანოების მიერ~, 5U51 CI000460-04;და 3U51CI000460-04S1.

**6.** "რისკ ფაქტორები ექსტენსიური რეზისტენტული ტუბერკულოზის განვითარებისათვის და GenoType MTBDRplus Assay როგორც ტესტირების სწრაფი მეთოდის შეფასება რიფამპინის და იზონიაზიდის მიმართ მგრძნობელობის განსაზღვრისათვის საქართველოში", PCRDF № GEB2 – 2935 – TB – 08.

**7.**`როტავირუსული გასტროენტერიტების საავადმყოფოზე დაფუძნებული ეპიდზედამხედველობა და დაავადებით გამოწვეული სიმძიმის განსაზღვრა საქართველოში.

**16.** სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები „საერთაშორისო პარტნიორობა" და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან", სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და ცენტრის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ცენტრის შესახებ“ – „ჩვენი პარტნიორები“ იუწყება, რომ მიმდინარეობს გვერდის რეკონსტრუქცია.

**17.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და მომზადებული პროგნოზები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

**18.** სამართლებრივი აქტები მიმოფანტულია განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „რეგულირება“ – „კანონები“ და „ნორმატიული ბრძანებები“ , ამასთან, თითოეულ ქვე-განყოფილებაში განთავსებულია ძალზედ მწირი რაოდენობის სამართლებრივი აქტები:

---

**ნორმატიული ბრძანებები**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება„ პოლიომიელიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციით აუცრელ ბავშვთა გამოვლენისა და მათი იმუნიზაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ (№ 01-62/ო, 04 / მაისი / 2011 წ., **დანართი 1, ფორმები)(pdf)**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ “ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის შინაგანაწესი (დამტკიცებულია ს.ს.ი.პ. ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2007 წლის 29 ივნისის N10/ო$2 ბრძანებით . დანართი N1) **(pdf)**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება # (2005 წლის იანვარი ქ. თბილისი) : საქართველოში გადამდებ დაავადებათა შემთხვევების/აფეთქებების კვლევის, კოდირების, ვაქცინით მართვადი დაავადებების (დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი, წითელა, წითურა, ყბაყურა, ჰეპატიტი ბ) და ჰიდროფობიის შემთხვევათა ეპიდემიოლოგიური მართვისა და გავრცელების პროფილაქტიკის შესახებ **(pdf)**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება # 101/ნ (2005 წლის 5 აპრილი ქ. თბილისი) : სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ **(pdf)**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 25. 06. 2010 წ. თბილისი N183/ნ. "პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, აგრეთვე იმუნიზაციის მართვის წესებისა და საჭირო საღრიცხვო-საანგარიშებო ფორმების დამტკიცების შესახებ" **(I ნაწილი, II ნაწილი, III ნაწილი, IV ნაწილი)**

**კანონები**

კანონი N 1139-Iს - საქართველოს კანონი "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ"

კანონი N5069-Iს - საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ

კანონი N2052-IIს - საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ

ბრძანებულება N175 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულება (2007 წლის 28 მარტის N107/ნ ბრძანების დებულება)

ქვე-განყოფილებაში „კანონები“ განთავსებული ხუთი სამართლებრივი აქტიდან ოთხი სამართლებრივი აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით, ამასთან, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსებული ორი სამართლებრივი აქტი არ წარმოადგენს საკანონმდებლო აქტს:

**კანონები**

კანონი N 1139-Iს - საქართველოს კანონი "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ"

კანონი N5069-Iს - საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ

კანონი N2052-IIს - საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ

ბრძანებულება N175 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულება (2007 წლის 28 მარტის N107/ნ ბრძანების დებულება)

სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება, სათაურად „კანონმდებლობა“ ან „სამართლებრივი აქტები“, სადაც თავმოყრილად იქნება წარმოდგენილი ზემოაღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსებული სამართლებრივი აქტები. სასურველია

აღნიშნულ (ქვე-)განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე, ცენტრის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობისა და ცენტრის გენერალური დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდიუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები - ბრძანებები, გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ცენტრის სტრუქტურული ერთეულების დებულებები და აგრეთვე, სამართლებრივი აქტების პროექტები.

ამასთან, სასურველია ცენტრის დებულება და შინაგანაწესი აგრეთვე, მოიძებოდეს ცალკეულ (ქვე-)განყოფილებებში.

სასურველია აღნიშნულ (ქვე-) განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 მარტის N175 ბრძანებულება „სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის შესახებ“;
- საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

**19.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

**20.** ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და ცენტრში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

**21.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა ცენტრსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, ცენტრსსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

**22.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „ტენდერები“, სადაც განთავსდებოდა ცენტრის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, ცენტრის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების , პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

*http://www.opendata.ge/pdf_files/daavadebatakontroli_shesyidvebi.pdf).*

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

**23.** ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, თუმცა მასში განთავსებულია ერთადერთი განცხადება:

## ვაკანსიები

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ აცხადებს ვაკანსიას **ლაბორატორიული განყოფილების უფროსის** თანამდებობაზე.

მდებარეობა: ქ. თბილისი 0177, მ. ასათიანის ქ. N8

სამუშაო განკვეთი: სრული

საწყისი ანაზღაურება: 1400 ლარი (დარიცხული თანხა) მზარდი პერსპექტივით

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება (მაგისტრის ხარისხი) სამედიცინო, ბიოლოგიური, ჯანდაცვის ადმინისტრირების ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის განხრით;
- მინიმუმ ხუთწლიანი სამუშაო გამოცდილება ჯანდაცვის სფეროში (სახელმწიფო, არასამთავრობო ან კერძო სექტორი);
- სასურველია ლაბორატორიული ან სადიაგნოსტიკო ცენტრის მართვის გამოცდილება;
- ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა;
- კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Windows, MS Office, Internet);

**უნარ-ჩვევები**

- მაღალი პასუხისმგებლობა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება;
- ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- კომუნიკაბელურობა;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- მაღალი ორგანიზაციული კულტურა;
- კონფლიქტების მართვის უნარი;
- დისციპლინირებულობა და საიმედობა;
- ლიდერობა;

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობა**

- განახორციელოს ლაბორატორიული განყოფილების ეფექტური საქმიანობა;
- ორგანიზება გაუწიოს ლაბორატორიული განყოფილების ლოგისტიკურ საქმიანობას;
- მოამზადოს რეკომენდაციები ლაბორატორიული განყოფილების მუშაობის გასაუმჯობესებლად;
- გააკონტროლოს ლაბორატორიული განყოფილების თანამშრომელთა სამუშაოს შესრულების პროცესი და ხარისხი;
- გაანაწილოს ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები ლაბორატორიული განყოფილების თანამშრომელთა შორის მათი კვალიფიკაციის შესაბამისად;

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, გამოაგზავნოთ რეზიუმე შემდეგ ელ. ფოსტაზე: **n.geguchadze@ncdc.ge**

სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში განთვსდეს ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (ცენტრის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

**24.** ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება ცენტრისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება ცენტრის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების*

*__განვითარების ინსტიტუტი__", დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/daavadebatakontroli_budget.pdf);*

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ცენტრის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ__„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების__ __განვითარების ინსტიტუტი__", დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/d_shssakademia_xelfasebi.pdf);*

- არ მოიძიება ცენტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ცენტრისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

*შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:*




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
55,56%
2. ძიება
0,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
41,18%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
0,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
46,67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
30,00%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
16,67%
10. ელექტრონული სერვისები
0,00%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
25,00%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5
0,6

- **ნავიგაცია**

ნავიგაციის ისრები აცდენილია წარწერებს:




- **ძიება**

ძიებას გადავყავართ GOOGLE - ის ვებ-გვერდზე:

Google-ის გამოყენებით ძიება ერთ კონკრეტულ ვებ-გვერდზე არ არის ისეთი ეფექტური, როგორც ლოკალური ინტეგრირებული ძიება, რადგან Google-ის სისტემას ინფორმაციის ასათვისებლად (ინდექსაციისთვის) ჭირდება გარკვეული დრო, (დრო დამოკიდებულია ვებ-გვერდის „Page Rank-ზე“ – Page Rank არის Google-ის შეფასების სისტემა და იგი მერყეობს 0-დან 10-ის ჩათვლით) შესაბამისად გარკვეული ინფორმაციის მოძიება შეუძლებელი იქნება;

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის ბიბლიოთეკა (http://www.ncdc.ge/pages/p_710_ge.htm) განთავსებულია ცალკე გვერდზე, სადაც სათაურები ქართულად წერია ხოლო კონტენტი ინგლისურად არის შედგენილი, ასევე კონტენტში შეიმჩნევა უმნიშვნელო ხარვეზები:

**ELECTRONIC LIBRARY**

1 ინფექციური და პარაზიტული დაავადებები Infectious and parasitic diseases
2 დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა Maternal and Child Health
3 კიბო Cancer
4 ფსიქიკური ჯანმრთელობა Mental Health
5 ჯანდაცვის სისტემა Health Care System
5/1 . A systematic review of the evidence on integration of targeted health interventions into health systems , Rifat Atun,1, Thyra de Jongh, 2 Federica Se
4,5, World Bank, Washington, DC, USA , Available online at: http://bit.ly/8Y1zrv
5/2 Millennium Development Goals Report 2010 , United Nations, New York June 23, 2010 , 2010 , Available online PDF [80p.] at: http://bit.ly/bmwAhK
5/3 Increasing access to health workers in remote and rural areas through improved retention Global Policy Recommendations , World Health Organization
at: http://bit.ly/bw3qy9
5/4 The importance of government policies in reducing employment related health inequalities , Joan Benach and colleagues , June 2010 , Website: http://bi
5/5 Access : how do good health technologies get to poor people in poor countries? , Laura J. Frost & Michael R. Reich. Harvard Series on Population an
online PDF [264p.] at: http://www.accessbook.org/download/AccessBook.pdf
5/6 Editorial: Who, and what, causes health inequities? Reflections on emerging debates from an exploratory Latin American/North American workshop ,
Online First 27 June 2010 - J Epidemiol Community Health , Website: http://bit.ly/bOEiKj
5/7 Poverty and social exclusion in the WHO European Region: health systems respond , Theadora Koller. Copenhagen, WHO Regional Office for Europe ,
http://bit.ly/cnZ0xU
5/8 . The Global Health System: Institutions in a Time of Transition , William C. Clark, Nicole and colleagues. Center for International Development at
Working Paper No. 193 , Available online at: http://bit.ly/bb38JF
5/9 Health Systems and Health Related Behaviour Change: A Critical Review of Primary and Secondary Evidence , Catherine Swann. Copenhagen: WHO , 20
at: http://bit.ly/aonlzG <=span>
5/10 Providing evidence-based solutions for world health problems , The Division of Policy Translation and Leadership Develop=ent is a new division at th
2010 , 2010 , T=itter http://twitter.com/eqpaho=/span>
5/11 Health Policy and Planning - Commentaries The World Health Report 2000: expanding the horizon of health system performance The World Healt
School of Public Health, Boston , MA - USA . Di McIntyre, Professor and South African Research Chair in ‹Health and Wealth›, Health Economics Ur
2010; Vol. 25, No. 5 , http://heapol.oxfordjournals.org/cgi/content/full/25/5/343?etoc URL: http://heapol.oxfordjournals.or
http://heapol.oxfordjournals.org/cgi/content/full/25/5/349?etoc
5/12 Implementing health financing reform World Health Organization WHO 2010, on behalf of the European Observatory on Health Systems and Policie
Health Systems Financing and Head of the Barcelona Office for Health Systems Strengthening, WHO Regional Office for Europe , 24 June 2010 , Avai

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-გვერდზე მარცხენა მხარეს ატვირთულია „RSS“-ის ღილაკი, თუმცა იგი უფუნქციოა:

ვებ-გვერდზე ერთ-ერთი უცნაური დეტალია უზარმაზარი ცარიელი სივრცე:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის დიზაინი და სტრუქტურა სხვადასხვა ბრაუზერებში ჩანს სხვადასხვანაირად:

Opera:




Google Chrome:




Internet Explorer (7.0v)



- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ვებ-გვერდი სოციალურ ქსელებთან არ არის ინტეგრირებული, მასზე მხოლოდ ერთი ღილაკია, რომლითაც მომხმარებელს facebook-ის “Fan Page”-ზე შეუძლია გადასვლა. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან კი ნიშნავს, სიახლეების, მნიშვნელოვანი ფაქტების, სხვადასხვა გვერდების გაზიარებისა და შეფასების საშუალებას.

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდი HTTPS პროტოკოლზე არ მუშაობს:

- **დამატებითი პარამეტრები**

დაშორება კონტენტსა და გარემოს შორის უნდა იყოს 2 პიქსელზე მეტი, ამ შემთხვევაში კი ნაკლებია:



## ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდი შექმნილია HTML/CSS-ით, ანუ ეს ნიშნავს იმას, რომ ვებ-გვერდს არ აქვს პროგრამული უზრუნველყოფა, ზუსტად ამ მიზეზის გამო ვებ-გვერდს არ აქვს თავისი ძიების მოდული, სიახლეების გამოწერა, თარიღის მიხედვით ძებნა და სხვა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია კონტროლ პანელის შექმნა, ანუ ვებ-გვერდს არ აქვს კონტროლ პანელი საიდანაც შეიძლება ინფორმაციის ცვლილება ან დამატება. ეს ოპერაციები შეუძლია მხოლოდ პროგრამისტს.